

Netherlands Institute for Multiparty Democracy

პოლიტიკის ფორმირების პროცესები საქართველოს
პოლიტიკურ და არასამთავრობო სექტორში



მომზადებულია ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის
ინსტიტუტისთვის GeoWel Research-ის მიერ
ავტორები: უილიამ დანბარი და მიხეილ სვანიძე

კვლევა განხორციელდა 2012 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით

ეს პუბლიკაცია არ გამოხატავს რაიმე სახელმწიფო ან პოლიტიკურ ინტერესს.
პიბლიკაციაში ასახული მოსაზრებები არ არის აუცილებელი ასახავდეს NIMD-ის,
GeoWel-ის ან მათი მმართველების მოსაზრებებს.

ძვირფასო მკითხველო,

მოხარულნი ვართ წარმოგიდგინოთ პუბლიკაცია იმ მიდგომების, მეთოდებისა თუ ტრადიციების კვლევის შესახებ, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში პოლიტიკის ხედვების ფორმირებას განაპირობებენ. ის, თუ როგორ ხდება პოლიტიკური პარტიების მიერ პოლიტიკური იდეებისა თუ მოსაზრებების სამოქმედო პროგრამებად ჩამოყალიბება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყანის პოლიტიკური სისტემის მუშაობას. შიდაპარტიული დისკუსია, კვლევის, ანალიზისა და დაგეგმვის სისტემები, შეფასება და პოლიტიკის მონიტორინგი, ან ყოველივე ამის ნაკლებობა, დიდ გავლენას ახდენს, როგორც ცალკეული პოლიტიკური პარტიების მუშაობაზე, ისე ეროვნულ პოლიტიკაზე.

საქართველოსათვის, მისი დემოკრატიის განმტკიცების პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ ძალებს შეეძლოთ კვალიფიციური, კომპეტენტური პოლიტიკური პლატფორმებისა და ხედვების შეთავაზება. პოლიტიკის ფორმირების დემოკრატიული პროცესი პარტიების ინსტიტუციურ გაძლიერებასაც უწყობს ხელს. ის, თუ როგორ იქმნება პოლიტიკური პროგრამა, ერთის მხრივ, ამა თუ იმ პარტიის ფასეულობებსა და მსოფლმხედველობას გამოხატავს, ხოლო მეორეს მხრივ, პარტიების ინსტიტუციური განვითარების გზაზე არსებული პრობლემების დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ამ თვალსაზრისით, იმას, თუ როგორ იქმნება პოლიტიკური იდეები, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თავად ამ იდეებს.

NIMD-ის ერთ-ერთი პრიორიტეტი საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში პოლიტიკური პროგრამების შექმნისა და პოლიტიკის ანალიზის შესაძლებლობების განვითარებაა. ამ კვლევით, ჩვენ შევეცადეთ დაგვენახა ის ნორმები და პროცესები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს პოლიტიკური პარტიები პოლიტიკის ფორმირებას ახდენენ. ეს კვლევა პოლიტიკის ფორმირების რამდენიმე განზომილებას აფასებს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვანტერესებდა პოლიტიკის შექმნის შიდაპარტიული პროცესები და ის, თუ რამდენად ინსტიტუციონალიზებული, დემოკრატიული და ეფექტურია ისინი და თუ ასე არაა, რა წინააღმდეგობები უშლის ხელს. ეს პუბლიკაცია, ასევე, მიმოიხილავს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ქართულ არასამთავრობო, კვლევით ორგანიზაციებში არსებობს რათა დაეხმაროს პარტიებს პოლიტიკის ფორმირებაში; იმ მეთოდებსა და რესურსებს, რომელთაც ქართული პოლიტიკური თუ სამოქალაქო სექტორი საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის იყენებს; საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის იმ შესაძლებლობებს, რომლებიც მიმართულია პარტიათა განვითარების ამ კომპონენტზე.

დასასრულს, იმედი გვაქვს, რომ ეს კვლევა თანაბრად საინტერესო და სასარგებლო საკითხავი იქნება, როგორც პოლიტიკური პარტიების წევრებისთვის, ისე მათთვის, ვინც საქართველოს პოლიტიკური სისტემის გაძლიერებისა და განვითარების საქმეში მონაწილეობს.

საუკეთესო სურვილებით,

ლევან ცუცქერიძე, NIMD საქართველო

აბრევიატურების სია

CIDA	სამოქალაქო განვითარების სააგენტო
CIPDD	მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
CRRC	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
GFSIS	საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GIPA	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ICCN	კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი
IRI	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
ISFED	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
NDI	ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი
nGnI	ახალი თაობა – ახალი ინიციატივა
NIMD	ჰოლანდიის მულტიპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი
TASO	ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი
ენმ	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
საია	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ქდმ	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა

სარჩევი

ანგარიში პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობების განვითარების შესახებ ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში	1
აბრევიატურების სია	2
რეზიუმე	4
კვლევის კონტექსტი და მეთოდოლოგია	8
პოლიტიკური პარტიების მიდგომა პოლიტიკის წინადადებების ჩამოყალიბების შესაძლებლობების განვითარებისადმი	10
არასამთავრობო ორგანიზაციების მიდგომა პოლიტიკის წინადადებების ჩამოყალიბების შესაძლებლობების განვითარებისადმი	14
პოლიტიკის წინადადებების შემუშავების შესაძლებლობების განვითარება	
პოლიტიკის წინადადებების შემუშავების შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკურ პარტიებში	18
არასამთავრობო ორგანიზაციები	22
მედიასთან ურთიერთობა და გავლენა	24
ლიტერატურის მიმოხილვა	27
პოლიტიკური კონტექსტი/საკანონმდებლო ჩარჩო	30
ურთიერთქმედება სხვა აქტორებთან	32
საარჩევნო სტრატეგიები და შედეგები	33
გამოყენებული ლიტერატურა	34
დანართი. რესპონდენტების სია	35

რეზიუმე

პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაცია ქართული პოლიტიკური სივრცის ერთ–ერთ მთავარ გამოწვევად რჩება; განსაკუთრებით პრობლემურია კარგად დამუშავებული პოლიტიკური პლატფორმები, რომელიც ოპონირებისთვის თუ საარჩევნო ბრძოლის გასამართად შეიძლება გამოდგეს. ამ ყველაფრის საფუძველია ფართოდ მიღებული მოსაზრება, რომ საქართველო ჯერაც მყარად რჩება ‘ქარიზმატული’ პოლიტიკის ფარგლებში, როცა პოლიტიკური ლიდერის პიროვნული თვისებები პირველხარისხოვანია, ხოლო იდეოლოგია და პოლიტიკური პროგრამა – მეორეხარისხოვანი.

შედეგად, მოთხოვნა პოლიტიკურ წინადადებებზე (policy) მცირეა. შესაბამისად, მცირეა მიწოდებაც – როგორც პოლიტიკური პარტიებისთვის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის პოლიტიკური ხედვების განვითარება პრიორიტეტული არაა; მაშინაც კი, როდესაც ისინი ამას ცდილობენ, მათ წინაშე დგება როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსების სიმწირის სერიოზული პრობლემა.

კიდევ ერთი პრობლემა მმართველი პარტიის დომინანტურობაა. ამას ემატება ის ფაქტი, რომ ხშირად რთულია პარტიის, აღმასრულებელი ხელისუფლების და საჯარო სამსახურის განსხვავება. დიდი საპარლამენტო უმრავლესობით ხელში, მმართველი პარტია უკონკურენტოა ქვეყნის პოლიტიკის შემუშავების და იმპლემენტაციის სფეროში. პოლიტიკური პროცესიდან ასე ჩამოშორებულ ოპოზიციას ნაკლები ინიციატივა აქვს ძვირფასი და ხანგრძლივი პოლიტიკური კვლევების ჩასატარებლად. ამას ისიც ემატება, რომ ასეთი კვლევა საარჩევნო წარმატების გარანტი არ არის. ზოგი შედარებით წარმატებული პარტია საერთოდ არ ატარებს პოლიტიკურ კვლევებს.

საარჩევნო წარმატებისთვის პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ კვლევებზე უფრო მნიშვნელოვნად ძლიერი ლიდერის ყოლას ასახელებენ. ზოგიერთი პირდაპირ ამბობს, რომ პოლიტიკის (policy) ხედვები/წინადადებები არსებულ, მათი აზრით, უსამართლო პოლიტიკურ გარემოში აუცილებელი საერთოდ არ არის. ის პარტიებიც კი, რომლებიც პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი დოკუმენტების ფორმალიზებული, სტრუქტურირებული მეთოდების შემუშავებას ცდილობენ, დაფინანსების და საზოგადოების მცირე ინტერესის პრობლემებს აწყდებიან. ეს აიძულებს მათ, მიმართონ პოპულისტურ რიტორიკას. ამას ემატება მედიასთან წვდომის პრობლემები, რაც ახალი იდეების გავრცელებას კიდევ უფრო ართულებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებს ესმით გრძელვადიანი, ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური კვლევების მნიშვნელობა, თუმცა იშვიათად აქვთ შესაბამისი რესურსები. მათი უმრავლესობა დონორებზეა

დამოკიდებული, რაც მათ მოკლევადიან პროექტებზე აბამს და შედარებით უფრო დახვეწილი პოლიტიკური კვლევითი ინსტიტუტების განვითარებას ართულებს. გარდა ამისა, 2003 წლის შემდეგ ბევრმა არასამთავრობო დაკარგა დაფინანსება; მათ ასევე განიცადეს ტოპ-მენეჯმენტის გადინება ხელისუფლებაში. მართალია, ეს პროცესი შეჩერდა, მაგრამ არასამთავრობოების არასტაბილურობა პოლიტიკის ჩამოყალიბების შესაძლებლობების მხრივ კვლავ უდიდეს პრობლემად რჩება.

ქართულ პოლიტიკაში პარტიებს ხშირად მეტნაკლებად „რადიკალურს“ უწოდებენ. მართალია, „რადიკალობა“ კრიტიკულ ტერმინად იხმარება, ამ ცნების გამოყენება პარტიების კატეგორიებად დასაყოფადაც შეიძლება. უფრო „რადიკალური“ პარტიები ნაკლებად აცხადებენ მზაობას ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებისთვის და მეტად აყენებენ მოთხოვნებს, რომლებსაც ზურგს ქუჩის დემონსტრაციების მუქარა უმაგრებს. ზოგადად, ოპოზიციურ პარტიებს შორის პოლიტიკური დოკუმენტების მნიშვნელობის აღქმა პარტიის „რადიკალურობის“ უკუპროპორციულია: რაც უფრო „რადიკალურია“ პარტია, მით უფრო ნაკლებადაა განვითარებული მათი პოლიტიკური პროგრამა.

ტრადიციულად, პოლიტიკურ-პროგრამულ საკითხებზე ბევრს რესპუბლიკური პარტია, შედარებით ნაკლებად, ახალი მემარჯვენეები და, ბოლო დროს, ქრისტიან-დემოკრატები მუშაობენ. მაგალითად, რესპუბლიკელებმა წლების განმავლობაში სხვადასხვა საკითხებზე მრავალი პოლიტიკური დოკუმენტი შექმნეს, მათ შორის კონფლიქტური რეგიონების პრობლემის გადაწყვეტის მრავალმხრივი სტრატეგია, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების მოწყობის და კომპეტენციების დაყოფის პოლიტიკური სისტემა და ახალი კონსტიტუციის სამუშაო ვერსია, რომელიც საქართველოს სრულ საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნას ითვალისწინებს.¹

ახალი მემარჯვენეები კარგად იყენებენ საერთაშორისო ექსპერტების დახმარებას პოლიტიკის (policy) წინადადებების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ისინი საკმაოდ დროს უთმობენ პოლიტიკური დოკუმენტების შექმნას, რომლებიც მოიცავენ მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის და რეგიონალური ეკონომიკური განვითარების გეგმას.

ქრისტიან-დემოკრატების სხვადასხვა პროგრამულ საკითხებზე საკითხებზე მათი დეპუტატები მუშაობენ. პარტიამ ასევე შეძლო ექსპერტების შეზღუდული რაოდენობის დაქირავება, ამავდროულად კი ჰყავს კონკრეტულ საკითხებზე მიმდგრებული მოხალისეთა ჯგუფები. კარგი მაგალითია მათი სოფლის მეურნეობის პროგრამა – დაქირავებული ექსპერტი მოგზაურობს

¹ „რესპუბლიკური პარტიის საქართველოს კონსტიტუციის პროექტი“. 1995. საიას არქივი # 8-33-5.

მთელ ქვეყანაში საველე მასალის მოსაგროვებლად, რომელიც მოგვიანებით პოლიტიკის (policy) დოკუმენტად გარდაიქმნება.

თავისუფალმა დემოკრატებმა დაამუშავეს პროგრამული საკითხები სოფლის მეურნეობაზე, ჯანდაცვაზე და განათლებაზე. ისინი მხოლოდ შიდა რესურსებით მუშაობენ და მათი ისტორიის უმეტესი ნაწილი სხვადასხვა კოალიციებში გაატარეს; ამჟამად ისინი ბიძინა ივანიშვილის ქართული ოცნების კოალიციაში არიან გაწევრიანებული. შედეგად, მათ გრძელვადიანი დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის დასამუშავებლად ცოტა სივრცე რჩებათ. ქართულმა ოცნებამ, თავის მხრივ, სერიოზული მუშაობა დაიწყო პოლიტიკის შემუშავების კუთხით. მათ კონკრეტულ საკითხებზე მომუშავე „ექსპერტთა“ ჯგუფები დაიქირავეს, თუმცა ეს მოვლენათა შედარებით ახალი განვითარებაა და კოალიციას ჩამოყალიბებული დოკუმენტები ჯერ არ გამოუცია.²

ამ ანალიზში განხილულ პარტიებს შორის ყველაზე ხმამაღალი, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური ხედვები უბრალოდ არარელევანტურია. მათი თქმით, ისინი მხოლოდ ამ პოლიტიკური რეჟიმის დამხობის შემდეგ იმუშავენ კონკრეტული, დეტალური პოლიტიკური პროგრამის შედგენაზე. ეს მიდგომა კარგად ჩანდა ლეიბორისტების წინასაარჩევნო კამპანიების დროს, როდესაც ისინი რადიკალური ცვლილებების მოთხოვნით გამოდიოდნენ, თუმცა არ საუბრობდნენ კონკრეტულ პროგრამულ საკითხებზე.

პოლიტიკური გარემოს უკანასკნელი ცვლილებების მიუხედავად, ოპოზიციურ პარტიები ადამიანური და ფინანსური რესურსების მწვავე დანაკლისს განიცდიან. ამ შეზღუდვების გათვალისწინებით პოლიტიკური (policy) ხედვის ჩამოყალიბებაზე მუშაობა ხშირად შემდეგნაირად ხდება: კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის გამოცდილების მქონე პარტიის წევრები სხდებიან, კრებენ რამდენიმე სხვა გამოცდილ კოლეგას იმავე პარტიიდან ან ნაცნობ-მეგობრებს გარედან. ეს ადამიანები ქმნიან არაფორმალურ (და უხელფასო) სამუშაო ჯგუფს, რომელიც ატარებს საველე სამუშაოს კონკრეტულ თემაზე და ქმნის პოლიტიკის დოკუმენტს. პარტიები ასევე ხშირად მიუთითებდნენ ადგილობრივი ცოდნის მნიშვნელობაზე. ზოგი პარტიისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოჩენისა და მათი გადაწყვეტის იდეების საფუძვლად ხშირად ჩვეულებრივ ხალხთან, პარტიის ადგილობრივ წარმომადგენლობასთან კონტაქტი და პარტიის ლიდერების რეგიონებში მოგზაურობები დასახელდა.

ზოგიერთი პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და აფასებს გარე დახმარებას პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების პროცესში . ახალი

² ეს ინფორმაცია დაფუძნებულია 2012 წლის მარტში დასრულებულ კვლევაზე

მემარჯვენეებისა და ქდმ-ს (პოლიტიკური დოკუმენტების მხრივ მომუშავე ორ პოლიტიკურ პარტიას) განცხადებით, NIMD-ის მიერ დაქირავებული ექსპერტების დახმარება უდიდესი მნიშვნელობის იყო. თუმცა ასეთი დახმარება ვერ იქნება უწყვეტი და ვერც მუდმივად გაგრძელდება. შესაბამისად, პარტიები ვერ იქნებიან მდგრადი გრძელვადიან პერიოდში ასეთ დახმარებაზე დამოკიდებულების შემთხვევაში.

ორი ქართული პარტია, ქრისტიან დემოკრატები და რესპუბლიკელები, მჭიდროდ თანამშრომლობს კონკრეტულ არასამთავრობოებთან – შესაბამისად, ქრისტიან დემოკრატიულ ინსტიტუტთან და რესპუბლიკურ ინსტიტუტთან. „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ თანამშრომლობენ ორ მცირე, აკადემიური პროფილის მქონე ორგანიზაციასთან.

ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო პარტნიორებად პარტიები NDI-ს და IRI-ს მიიჩნევენ. ოპოზიციური პარტიები პრიორიტეტების გამოსაყოფად მათ კვლევებს იყენებენ. გარდა ამისა, ზოგიერთი პარტია (მათ შორის, ახალი მემარჯვენეები და ქრისტიან-დემოკრატები) აღნიშნული ორგანიზაციების ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობდა.

ქართული არასამთავრობოები შეიძლება რამდენიმე ტიპად დავეყოთ. პირველი ტიპი არის დიდი, ჩამოყალიბებული ორგანიზაციები კარგი ცნობადობით. მათი უმრავლესობა (საია, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო თუ მრავალეროვანი საქართველო) უფრო ხშირად კონკრეტულ საკითხებზე ადვოკატირებით არიან დაკავებულნი ან უფლებათა დამცველთა პროფილით მუშაობენ – საკანონმდებლო თუ საარჩევნო გარემოს კუთხით.

ასევე არის უფრო პატარა და საჯაროდ ნაკლებად ცნობილი არასამთავრობოები (მაგალითად, კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი (ICCN) ან ლიბერალური აკადემია), რომლებიც, მათი მცირე რესურსების მიუხედავად, პოლიტიკის (policy) საკითხებზე მუშაობას ცდილობენ. ასევე არიან არასამთავრობოები, რომელთაც კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის და დახმარების ისტორია აქვთ – მათ რიცხვს მიეკუთვნება GFSIS და, შედარებით ნაკლებად, CIPDD, თუმცა ზოგჯერ ისინი განიხილებიან, როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებულ ორგანიზაციები.³ საბოლოოდ, არსებობენ კონკრეტულ პარტიებთან მჭიდრო კავშირში მყოფი

³ იხ. Muskhelishvili, Marina and Gia Jorjoliani. "Georgia's Ongoing Struggle for a Better Future Continued: Democracy Promotion through Civil Society Development" *Democratization* 16, no. 4 (2009) 682-709, 685, 702. ავტორები ამტკიცებენ, რომ ეს ორი ორგანიზაცია ვარდების რევოლუციის შემდეგ „ხელისუფლების მხარეს“ დადგა.

არასამთავრობოები (ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტი, რესპუბლიკური ინსტიტუტი), ისევე როგორც ორგანიზაციები (მაგ. CIDA), რომლებიც საზოგადოებასთან უფრო მჭიდროდ მუშაობენ.

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობოებს და საზოგადოებრივ ჯგუფებს ესმით პოლიტიკის (policy) ხედვების და პოლიტიკური პროგრამების განვითარების აუცილებლობა და მნიშვნელობა, ისინი სექტორში ამ კუთხით არსებულ სირთულეებს და ნაკლოვანებებს ერთხმად აღიარებენ.

მეტიც, როგორც არასამთავრობოებისთვის, ისევე პარტიებისთვის, საკანონმდებლო ცვლილებების სწრაფი ტემპი, ზოგჯერ ნიშნავს, რომ საფუძვლიანად დამუშავებული პოლიტიკის დოკუმენტებიც კი ხშირად გამოქვეყნებამდეც კი მოძველებულია რაიმე საკანონმდებლო ცვლილების გამო. მართალია, არასამთავრობოების მიერ შექმნილი საკმაოდ დახვეწილი პოლიტიკის დოკუმენტების და იდეების ხელისუფლების მიერ სისრულეში მოყვანის მაგალითები არსებობს, ასეთი პრაქტიკა იშვიათია. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია კონკრეტულ პარტიებთან მუშაობაზე უარს ამბობს ტენდენციურობის იმიჯის თავიდან ასარიდებლად, შესაბამისად თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობოებს შორის პოლიტიკის (policy) დოკუმენტების განვითარების კუთხით მცირეა.

კვლევის კონტექსტი და მეთოდოლოგია

საქართველოს დემოკრატიულ სისტემას ხშირად განიხილავენ, როგორც პიროვნებებზე მორგებულს და ცუდად ინსტიტუციონალიზებულს⁴. როგორც პოლიტიკურ პარტიებში, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებში შეიმჩნევა პოლიტიკის წინადადებებზე სისტემატური მუშაობის შესამჩნევე ნაკლებობა. ეს დეფიციტი ცუდად მოქმედებს როგორც კანონების შექმნისა და იმპლემენტაციის მეთოდებზე, ასევე მთელი ქვეყნის პოლიტიკურ დისკურსზე.

მართალია, ბევრი პოლიტიკოსი და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი პოლიტიკური კურსის კვლევების აუცილებლობას აღიარებს, მოთხოვნა და მიწოდება ასეთ კვლევებზე დაბალია. შედეგად, მრავალი პოლიტიკური პარტია მათივე ლიდერების საარჩევნო აპარატად რჩება, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებას ნაკლები უნარი აქვს პოლიტიკურ პროცესზე გავლენის მოსახდენად.

⁴ Nodia, Ghia, and Álvaro Pinto Scholtbach. *The Political Landscape of Georgia: Political Parties: Achievements, Challenges and Prospects*. Delft, The Netherlands: Eburon, 2006: 85, 103-106.

ხარისხიანი პოლიტიკის დოკუმენტების სიმწირეს ისტორიული მიზეზები აქვს. ერთ–ერთია მთავრობაში გადაწყვეტილების მიმღებთა ნდობით აღჭურვილი ვიწრო ჯგუფზე დამოკიდებულება⁵. თუმცა, გარდა ამისა, არსებობს ერთი მხრივ სტრუქტურული, ხოლო მეორე მხრივ ცოდნისა და ექსპერტიზის პრობლემები, რომლებზეც მუშაობის დაწყება აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატის გასაუმჯობესებლად და საკითხებზე დაფუძნებული პოლიტიკის დამკვიდრების პროცესის დასაწყებად.

ამის გათვალისწინებით, NIMD-მა და GeoWel Research-მა ჩაატარა სიღრმისეული კვლევა პოლიტიკის (policy) წინადადებების ჩამოყალიბების მეთოდების და განვითარების შესახებ. ეს ანგარიში ეფუძნება მოწინავე პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებულ ინტერვიუებს, ასევე - ფოკუს ჯგუფების მასალებს პოლიტიკური პარტიების წევრებთან. ანგარიშში დეტალურად აღვწერთ და ვაანალიზებთ მიმდინარე სიტუაციას პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით, ასევე, აღვნიშნავთ პრობლემატურ სფეროებს და საუკეთესო პრაქტიკას. ანგარიში დაფუძნებულია ხარისხობრივ კვლევაზე – ნახევრად–სტრუქტურირებულ ინტერვიუებსა და ფოკუს–ჯგუფებზე. ინტერვიუები ჩატარდა ინგლისურად და ქართულად, რესპონდენტის ინგლისურის ცოდნის გათვალისწინებით. ჩავატარეთ 21 ინტერვიუ: 7 დიდი პარტიისა და 14 არასამთავრობო წარმომადგენელთან. პარტიები არჩეულ იქნა NIMD-ის საწყისი სიიდან და მათი ბოლოდროინდელი საარჩევნო შედეგების, საჯარო პროფილის და სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით. ინტერვიუები ჩატარდა არასამთავრობო სექტორის წამყვან, განსხვავებული ინტერესებისა და სტრუქტურული წევრების მქონე სპეციალისტებთან.

ფოკუს–ჯგუფები პოლიტიკურ პარტიებთან ჩატარდა ჯეოველ რისერჩის ოფისში. მონაწილეები იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები – დეპუტატები და „პოლისიმიეიკერები.“ ფოკუს–ჯგუფის საშუალო მოცულობა შეადგენდა 5 ადამიანს; ფოკუს–ჯგუფები ჩატარდა და ჩაიწერა ქართულ ენაზე. საველე სამუშაოები შესრულდა 14 თებერვლიდან 9 მარტამდე. რესპონდენტების სრული სია იხილეთ დანართში.

საველე სამუშაოების მიღმა, კვლევითმა ჯგუფმა შეისწავლა მრავალი დოკუმენტი და წყარო: პარტიული დოკუმენტები, აკადემიური და პოლიტიკური ლიტერატურა, ჟურნალისტური წყაროები. ზოგ შემთხვევაში,

⁵ International Crisis Group. *Georgia: the Risks of Winter*. Europe Briefing #51. Tbilisi/Brussels. 2008, 5-6.
http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/b51_georgia_the_risks_of_winter.pdf Bruckner, Till. "Decision-Making and Georgia's Perpetual Revolution: The Case of IDP Housing." *Caucasus Review of International Affairs* 3, no. 3 (2009), 172-180

არასამთავრობო სექტორის გამოცდილი ექსპერტები მიმდინარე სამუშაო გამოცდილების გაზიარების გარდა საყრდენ ინფორმაციას გვაწვდიდნენ არსებულ პოლიტიკურ კონტექსტზე.

პოლიტიკური პარტიების მიდგომა პოლიტიკის წინადადებების ჩამოყალიბების შესაძლებლობების განვითარებისადმი

არსებობს ზოგად კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ პოლიტიკის წინადადებების ჩამოყალიბება ქართული პოლიტიკური პარტიების პრიორიტეტს არ წარმოადგენს; ამ მიმართულებით მუშაობა ხშირად არათანამიმდევრული და მოკლევადიანია. პარტიების უმრავლესობა აღიარებს ამ სისუსტეს, თუმცა ზოგი პარტია ამტკიცებს, რომ დეტალური პოლიტიკის დოკუმენტები ქართულ პოლიტიკურ კონტექსტში აუცილებელი არ არის; ამავდროულად, სხვები გულმოდგინედ ცდილობენ ამ საკითხში კომპეტენციისა და უნარების გაღრმავებას.

მნიშვნელოვანი გამონაკლისი აქ მმართველი პარტიაა. წლების განმავლობაში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ასობით პოლიტიკის (policy) წინადადება/დოკუმენტი შეიმუშავა და დანერგა; რიგ შემთხვევებში კონსტრუქციულად თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საერთაშორისო საზოგადოებასთან. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტების დიდ ნაწილს აკლდა გრძელვადიანი ხედვა და გარეშე პირთა თანამონაწილეობა. ეს პრობლემები კი ხაზს უსვამს ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკის შემუშავების ნაკლებობას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შიგნით.

მართლაც, მკაფიო ხაზის გავლება მმართველ პარტიას, საჯარო სამსახურსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ხშირად რთულია. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია გაარჩიო, საიდან გაჩნდა ესა თუ ის პოლიტიკური (policy) ინიციატივა – პარტიაში თუ ხელისუფლებაში⁶. ასეთი ბუნდოვანება კიდევ უფრო ართულებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის შემუშავების მიდგომებისა და მეთოდების გაგებას.

პოლიტიკის შემუშავებასთან მიმართებაში წამგებიან პოზიციაში იმყოფება ოპოზიცია, რომელიც პატარა და სუსტია (ქრისტიან–დემოკრატიულ

⁶ ერთი, შესაძლოა, საჩვენებელი მაგალითისთვის იხილეთ Bruckner, Till. "Decision-Making and Georgia's Perpetual Revolution: The Case of IDP Housing." *Caucasus Review of International Affairs* 3, no. 3 (2009), 172-180.

მომრაობას, ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიას პარლამენტში მხოლოდ 7 დეპუტატი ყავს). გარდა ამისა, მთავრობის მიერ შემოთავაზებული ახალ-ახალი იდეების რაოდენობა და საკანონდებლო ცვლილებების ტემპი პოლიტიკაზე მათ მუშაობას ზოგჯერ უაზროს ან არარელევანტურს ხდის. მეტიც, მთავრობის ყოვლისმომცველი, მედიის ყურადღების მიმპყობი ინიციატივები თავდაცვით პოზიციაში აყენებს ოპოზიციას, რაც იწვევს რეაქტიულ მოქმედებას – ალტერნატიული ხედვის მიწოდების მაგივრად ოპოზიცია აღნიშნული ინიციატივების კრიტიკით შემოიფარგლება. მაგალითად, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქალაქდაგეგმარების პოლიტიკაზე ლაპარაკის ნაცვლოდ ისინი იძულებულნი იყვნენ პრეზიდენტის ახალი ინიციატივა - შავი ზღვის პირას ქალაქ ლაზიკის გაშენება გაეკრიტიკებინათ; ასევე, ჯანდაცვის სექტორის რეფორმის შესახებ კონკრეტული პოლიტიკური გეგმის წარდგენის ნაცვლად, პარტია იძულებული იყო მთავრობის ფართოდ გაშუქებული „100 საავადმყოფოს“ პროგრამაზე გაეცა პასუხი⁷.

მეტიც, იმის მაგივრად, რომ პოლიტიკური პროგრამის ჩამოყალიბებაზე სისტემატურად იმუშაონ, პარტიები ამ მხრივ მხოლოდ წინასაარჩევნოდ აქტიურდებიან. ამრიგად, პოლიტიკური კონცეფციების საფუძვლიანი დამუშავების (და საარჩევნოდ, გადამუშავების და დეტალიზების) ნაცვლად, არსებობს წინასაარჩევნო, ნაჩქარევი პოლიტიკური განცხადების ტენდენცია. ასეთი არათანამიმდევრული მიდგომა აზიანებს როგორც შიდაპარტიულ მდგრად განვითარებას პოლიტიკის შემუშავების მხრივ, ასევე პოლიტიკურ ხედვებზე დაფუძნებული საჯარო დისკურსის განვითარებას ქვეყანაში – დღესდღეობით დებატების სხვადასხვა იდეების ირგვლივ წინასაარჩევნო კამპანიის კაკოფონიაში იკარგება. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, რომ პუბლიკისთვის დეტალური პოლიტიკური (policy) ხედვები საინტერესო არ არის, ამიტომ მათი დამუშავება არც ისე მნიშვნელოვანია.⁸ ეს თვალსაზრისი ქართული პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობოების ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოწვევის ილუსტრაციაა. როდესაც მედიისა და საზოგადოების მხრიდან დაბალია მოთხოვნა დეტალურ პოლიტიკურ გეგმებზე ნაკლებად სავარაუდოა, რომ პარტიები და არასამთავრობოები მათ ბევრ ყურადღებას დაუთმობენ, რაც თავისთავად იწვევს კონკრეტულ პიროვნებებზე დამოკიდებული პოლიტიკური სისტემის გამყარებას. პოლიტიკური ხედვების მხრივ, ქართული პოლიტიკური იდეების ბაზარზე, პრობლემებია როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის თვალსაზრისით.

⁷ ფოკუს ჯგუფი რესპუბლიკურ პარტიასთან. 9 მარტი.

⁸ იქვე.

პარტიები თვლიან, რომ კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხედვები საარჩევნო წარმატებასთან კორელაციაში არ არის. აღიარებენ რა ქართული პოლიტიკური პროცესებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ბევრი მათგანი აცხადებს, რომ საარჩევნო წარმატებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სანდო, ძლიერი და ქარიზმატული ლიდერის ყოლაა. აღსანიშნავია, რომ იმ პარტიებიც წარმომადგენლებმაც კი, რომლებიც გარკვეულ სიღრმისეულ მუშაობას წვევენ პოლიტიკური კურსის მხრივ, (მაგალითად, ქდმ) განაცხადეს, რომ ლიდერი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პარტიის მიერ ამომრჩევლის მოსაზიდად განვითარებული პოლიტიკური იდეები.⁹

რამდენიმე პარტიამ აღნიშნა, რომ პოლიტიკის ხედვებზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული პრობლემებია. რესპუბლიკური პარტიის, ლეიბორისტული პარტიის, ახალი მემარჯვენეების და თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენლებმა ერთხმად განაცხადეს, რომ არსებულ, მათი გაგებით, არადემოკრატიულ სისტემაში საარჩევნო წარმატება შეუძლებელია¹⁰. ზოგიერთი პარტიის ხედვით, მედიასთან შეუზღუდავი წვდომის მოპოვება და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვა წარმატების გასაღებს წარმოადგენს;¹¹ ასეთი სტრატეგია მოკლევადიანია იმდენად, რამდენადაც ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ისინი განსახორციელებელი პოლიტიკური იდეების ნაკლებობის წინაშე დადგებოდნენ. სოციალ-დემოკრატებმა აღნიშნეს, რომ არჩევნებში გამარჯვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნაა.¹² თავისუფალ დემოკრატებთან და რესპუბლიკურ პარტიასთან ინტერვიუებში საარჩევნო წარმატების ერთ-ერთ ფაქტორად დასახელდა ისეთი ცნებები, როგორცაა „ხედვა“ და „მარტივი და ადვილად აღქმადი“ მესიჯების არტიკულაცია, მაშინ როდესაც პარტიის პოლიტიკური პროგრამა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არ ხსენებულა.¹³

უკიდურესი მაგალითი ლეიბორისტული პარტიაა – ისინი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური ხედვები უბრალოდ არარელევანტურია. “თუ ჩვენ არ მივალწევთ არსებული პოლიტიკური რეჟიმის დემონტაჟს, ჩვენს მიერ დამუშავებული პოლიტიკური პროგრამა უაზრო იქნება,” ახსნა მათ

⁹ ინტერვიუ ლევან ვეფხვაძესთან, 20 თებერვალი.

¹⁰ ინტერვიუები დავით უსუფაშვილთან (რესპუბლიკური პარტია, რამაზ სამნიაშვილთან (ლეიბორისტული პარტია) და ალექსი პეტრიაშვილთან (თავისუფალი დემოკრატები)

¹¹ ინტერვიუ მანანა ნაჭყვიასთან (ახალი მემარჯვენეები). 24 თებერვალი.

¹² ინტერვიუ გია ჟორჟოლიანთან და გელა ბანძელაძესთან. 14 თებერვალი.

¹³ ინტერვიუები დავით უსუფაშვილთან და ალექსი პეტრიაშვილთან.

წარმომადგენელმა.¹⁴ მისი თქმით, ისინი მხოლოდ ამის შემდეგ იმუშავენ კონკრეტულ პოლიტიკურ პროგრამის შედგენაზე უფრო დეტალურად. ეს მიდგომა კარგად ჩანდა ლეიბორისტების წინასაარჩევნო კამპანიების დროს, როდესაც ისინი რადიკალური ცვლილებების მოთხოვნით გამოდიოდნენ, თუმცა არ საუბრობდნენ კონკრეტულ პროგრამულ საკითხებზე.¹⁵

ასეთი დამოკიდებულება მთლად ალოგიკური ნამდვილად არ არის: ლეიბორისტული პარტია, ქართული სტანდარტით, შედარებით პოპულარული ოპოზიციური პარტიაა; მათ 1995 წლის შემდეგ გამართულ ყველა არჩევნებში 5 პროცენტზე მეტი ხმა მიიღეს (სადაც მონაწილეობა მიუღიათ). ლეიბორისტულმა პარტიამ შეიძლება გააგრძელოს ხმების დაგროვება მისი ქარიზმატული ლიდერის ხარჯზე, თუმცა კონკრეტული პროგრამების სიმწირე და ინსტიტუციური განვითარების ნაკლებობა მომხრეთა არსებული რაოდენობის მიღმა ახალი ამომრჩევლის მოზიდვას შეაფერხებს.¹⁶

სხვა ოპოზიციური პარტიები განსხვავებულად აღიქვამენ პოლიტიკური დოკუმენტების შექმნის აუცილებლობას; მათ უმრავლესობას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის დოკუმენტები. ზოგადად, პოლიტიკური დოკუმენტების განვითარების დონე პარტიის რადიკალურობის უკუპროპორციულია: რაც უფრო რადიკალურია პარტია, მით უფრო ნაკლებადაა განვითარებული მათი პოლიტიკური დოკუმენტები. მაგალითად, ზომიერ პარტიად აღქმული ქდმ შედარებით მეტს მუშაობს პოლიტიკური პროგრამის კუთხით, მაშინ როდესაც ლეიბორისტულ პარტიას, რომელსაც ხშირად რადიკალურად აღიქვამენ, ჩამოყალიბებული პოლიტიკური დოკუმენტები არ შეუქმნია.

ტრადიციულად, პოლიტიკურ-პროგრამულ საკითხებზე ბევრს რესპუბლიკური პარტია, შედარებით ნაკლებად, ახალი მემარჯვენეები და, ბოლო დროს, ქრისტიან-დემოკრატები მუშაობენ. მაგალითად, რესპუბლიკელებმა წლების განმავლობაში სხვადასხვა საკითხებზე მრავალი პოლიტიკის დოკუმენტი შექმნეს: მათ შეიმუშავეს კონფლიქტური რეგიონების პრობლემის გადაწყვეტის მრავალმხრივი სტრატეგია (რომელსაც ისინი, 2008 წლის ომის შემდეგ, „გამოუსადეგარად“¹⁷ მიიჩნევენ), დეტალურად დაამუშავეს წინადადებები ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების მოწყობის და კომპეტენციების დაყოფის პოლიტიკური სისტემის შესახებ; დაწერეს ახალი კონსტიტუციის სამუშაო ვერსია, რომელიც საქართველოს სრულ საპარლამენტო

¹⁴ ინტერვიუ რამაზ სამნიაშვილთან, 22 თებერვალი.

¹⁵ „ათი ნაბიჯი საქართველოს გადასარჩენად.“ (2006).

<http://www.labour.ge/en/party/congresses/156-iv-congress.html>

¹⁶ International Crisis Group. *Georgia: the Risks of Winter*.

¹⁷ ინტერვიუ დავით უსუფაშვილთან (რესპუბლიკური პარტია). 29 თებერვალი.

რესპუბლიკად გარდაქმნას ითვალისწინებს.¹⁸ მართალია, ზოგი კომენტატორი ამ იდეების ნაწილს შეუსრულებელს ან არარეალისტურს უწოდებს¹⁹, რესპუბლიკელებს ნამდვილად აქვთ სრულყოფილი პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის ტრადიცია.

ახალი მემარჯვენეები კარგად იყენებენ საერთაშორისო ექსპერტების დახმარებას პოლიტიკური დოკუმენტების ხარისხის გასაუმჯობესებლად. 2003 წლის საარჩევნო პროგრამიდან დაწყებული²⁰ (რომელიც საკმაოდ ვრცელი იყო ვარდების რევოლუციამდელი პოლიტიკური პოლარიზაციის დონის გათვალისწინებით) მათ დიდი სამუშაო გასწიეს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების მხრივ. ბოლო დროს, პარტიამ წარმოადგინა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის გეგმა, რომელიც გადასახადების გადაუხდელობის გარკვეული სახის დეკრიმინალიზაციას შეიცავს; ასევე შექმნა ქართული სოფლის გამოცოცხლების გეგმა.²¹

პოლიტიკური გეგმების შემუშავებას საკმაოდ დროს უთმობენ ქრისტიან დემოკრატებიც. მათი შვიდი დეპუტატი შრომას ინაწილებს კონკრეტული მიმართულებებით (სოფლის მეურნეობა, განათლება) მუშაობისას. პარტიამ შემლო ექსპერტების შეზღუდული რაოდენობის დაქირავება, ამავდროულად კი ჰყავს კონკრეტულ საკითხებზე მიმდგრებული მოხალისეთა ჯგუფები. კარგი მაგალითია მათი სოფლის მეურნეობის პროგრამა – დაქირავებული ექსპერტი მოგზაურობს მთელ ქვეყანაში საველე მასალის მოსაგროვებლად, რომელიც მოგვიანებით პოლიტიკურ დოკუმენტად გარდაიქმნება.²²

არასამთავრობო ორგანიზაციების მიდგომა პოლიტიკის წინადადებების ჩამოყალიბების შესაძლებლობების განვითარებისადმი

ქართული არასამთავრობო სექტორი 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ პრობლემების წინაშე დადგა – დონორებმა ბევრი პროექტის დაფინანსება შეამცირეს. CIPDD-ს წარმომადგენელი, მაგალითად უფრო შორს წავიდა და თქვა, რომ უშუალოდ 2003 წლის შემდეგ პატარა არასამთავრობოები

¹⁸ „რესპუბლიკური პარტიის საქართველოს კონსტიტუციის პროექტი“. 1995. საიას არქივი # 8–33–5.

¹⁹ ინტერვიუ დავით ლოსაბერიძესთან (CIPDD). 21 თებერვალი.

²⁰ <http://www.nrp.ge/images/doc/900%20dge%20geo.pdf>

²¹ ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ახალი მემარჯვენეების ვებ-გვერდზე: <http://www.nrp.ge/memarjveneebi/our-programm.html?lang=ka-GE>

²² ფოკუს-ჯგუფი ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასთან, 9 მარტი.

დაიხურა, და დიდებმა თავიანთი ოპერაციები შეზღუდეს.²³ ბოლო წლებში დონორების დაფინანსება ისევ გაიზარდა და არასამთავრობოებმა მეტი ფინანსური სტაბილურობა იგრძნეს, თუმცა ასეთი რყევები ცუდად მოქმედებს როგორც არასამთავრობოების გრძელვადიან გეგმებსა და პოლიტიკურ დოკუმენტებზე მუშაობის პროცესზე, ასევე მათ მიმართ ნდობისა და საჯარო აღქმის ჩამოყალიბებაზე.

ქართული არასამთავრობოები შეიძლება რამდენიმე ტიპად დავეყოთ. პირველი ტიპი არის დიდი, ჩამოყალიბებული ორგანიზაციები კარგი ცნობადობით. მათი უმრავლესობა (საია, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო თუ მრავალეროვანი საქართველო) უფრო ხშირად კონკრეტულ საკითხებზე ადვოკატირებით არიან დაკავებულნი ან უფლებათა დამცველთა პროფილით მუშაობენ – საკანონმდებლო თუ საარჩევნო გარემოს კუთხით.

ასევე არის უფრო პატარა და საჯაროდ ნაკლებად ცნობილი არასამთავრობოები (მაგალითად, კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი (ICCN) ან ლიბერალური აკადემია), რომლებიც, მათი მცირე რესურსების მიუხედავად, სპეციფიურ პოლიტიკურ საკითხებზე მუშაობას ცდილობენ. ასევე არიან არასამთავრობოები, რომელთაც კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის და დახმარების ისტორია აქვთ – მათ რიცხვს მიეკუთვნება GFSIS და, შედარებით ნაკლებად, CIPDD, თუმცა ზოგჯერ ისინი განიხილებიან, როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებულ ორგანიზაციები.²⁴ საბოლოოდ, არსებობენ კონკრეტულ პარტიებთან მჭიდრო კავშირში მყოფი არასამთავრობოები – ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტი, რესპუბლიკური ინსტიტუტი, ისევე როგორც ორგანიზაციები (მაგ. CIDA), რომლებიც საზოგადოებასთან უფრო მჭიდროდ მუშაობენ.

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობოებს და საზოგადოებრივ ჯგუფებს ესმით პოლიტიკის ხედვების და პოლიტიკური პროგრამების განვითარების აუცილებლობა და მნიშვნელობა, ისინი სექტორში ამ კუთხით არსებულ სირთულეებს და ნაკლოვანებებს ერთხმად აღიარებენ.

აქ მოქმედებს ორი მთავარი ფაქტორი. ერთი მხრივ, არასამთავრობოების უმრავლესობაში პრობლემატური საკითხია ადამიანური და ფინანსური

²³ ინტერვიუ დავით ლოსაბერიძესთან.

²⁴ იხ. Muskhelishvili, Marina and Gia Jorjoliani. "Georgia's Ongoing Struggle for a Better Future Continued: Democracy Promotion through Civil Society Development" *Democratization* 16, no. 4 (2009) 682-709, 685, 702. ავტორები ამტკიცებენ, რომ ეს ორი ორგანიზაცია ვარდების რევოლუციის შემდეგ „ხელისუფლების მხარეს“ დადგა.

რესურსები, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ არ აქვთ ადეკვატური რაოდენობის თანხები ან არ ყავთ სპეციალისტები სიღრმისეული პოლიტიკური კვლევების საწარმოებლად; მეორე მხრივ, კარგად დაფინანსებული და ადამიანური რესურსების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებში ხშირად პრიორიტეტული უფლებათადაცვის და ადვოკატირების ფუნქციაა, ამიტომ სიღრმისეული პოლიტიკური კვლევებისთვის მათ ნაკლები რესურსები რჩებათ. არასამთავრობოები პოლიტიკის (policy) კვლევას კონტექსტში სიტყვა „ფუფუნებასაც“²⁵ კი იყენებენ.

ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა არაეფექტურია. ადვოკატირებისა და უფლებათადაცვის ორგანიზაციებს ეკუთვნით მრავალი წარმატებული ინიციატივა – მათ შორისაა, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს კამპანია მეტი მედია გამჭვირვალობისთვის (რომელმაც საბოლოოდ ამ კუთხით საკანონმდებლო ცვლილებას მიაღწია); სამართლიანი არჩევნების (საიასთან და საერთაშორისო გამჭვირვალობასთან კოალიციაში) წარმატებული მცდელობები საარჩევნო კანონმდებლობის შესაცვლელად.

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ძალიან ცოტა სივრცე რჩება პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაოდ. მართლაც, საკანონმდებლო ცვლილებების სწრაფი ტემპი, ხელისუფლების მიერ თითქმის ყოველდღიურად შემოთავაზებული ახალი საკანონმდებლო ინიციატივები თუ რეფორმები არასამთავრობოებს ამ მხრივ მუშაობის სტიმულს უკარგავს. როგორც CIPDD-ს თანამშრომელმა აღნიშნა, ყველაზე საფუძვლიანად დამუშავებული პოლიტიკის დოკუმენტებიც კი ხშირად გამოქვეყნებამდეც კი მოძველებულია რაიმე არაპროგნოზირებადი საკანონმდებლო ცვლილების გამო.²⁶

არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე მდგარი მეორე დიდი პრობლემაა ფინანსური დამოკიდებულება დონორებზე. გრძელვადიანი, შიდა შესაძლებლობების განმავითარებელი გრანტები ძნელი მოსაპოვებელია; რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია კმაყოფილდება „პროექტიდან პროექტამდე“ მუშაობით. ნათელია, რომ ასეთი არათანამიმდევრული მიდგომა მათ მდგრად, გრძელვადიან განვითარებას ხელს უშლის. მეორე მხრივ, არასამთავრობოების ზოგი წარმომადგენელი ასეთ სიტუაციაში დადებით მხარეს ხედავს. nGnI-ს რესპონდენტმა, მაგალითად,

²⁵ ინტერვიუ ქეთევან ჩაჩავასთან (nGnI) და არასამთავრობო ორგანიზაციების მრავალ სხვა წარმომადგენელთან.

²⁶ ინტერვიუ დავით ლოსაზერიძესთან. 21 თებერვალი.

თქვა, რომ ასეთ პირობებში არასამთავრობოები უფრო მოქნილნი არიან და მეტი მანსი აქვთ უფრო „ცხელ“, მნიშვნელოვან საკითხებზე სამუშაოდ.²⁷

არასამთავრობოები კრიტიკულად უდგებიან პარტიების მიერ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესს. პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებაზე პარტიების მხრიდან მხოლოდ მცირე, არასაკმარისი მოთხოვნა არსებობს. ზოგი არასამთავრობო ამტკიცებს, რომ მათ მიერ განვითარებული (და პარტიების მიერ მიღებული) საკანონმდებლო იდეები იყო ცუდად გაგებული, დამახინჯებული ან შეცვლილი პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით. CIPDD-ს წარმომადგენლის აზრით, პოლიტიკურ-პროგრამულ დოკუმენტებზე ზოგადად დაბალი მოთხოვნა წარმოშობს შემდეგ სიტუაციას: პარტიები ამ დოკუმენტებს წერენ მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ მათ ეს შეუძლიათ და არა იმიტომ, რომ სჯერათ, რომ ესა თუ ის იდეა საკანონმდებლო სახეს მიიღებს ან მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს.²⁸

მეტიც, არასამთავრობოებს, როგორცაა ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტი და რესპუბლიკური ინსტიტუტი (რომელთაც კავშირი აქვთ, შესაბამისად, ქდმ-თან და რესპუბლიკურ პარტიასთან) უფრო იდეოლოგიური პლატფორმების ფუნქცია აქვთ, ვიდრე პოლიტიკური პროგრამების შემუშავების²⁹. იგივე შეიძლება ითქვას ახალ ეკონომიკურ სკოლაზე, რომელიც არ არის დაინტერესებული კონკრეტული პროგრამების განვითარებით, არამედ მუშაობს როგორც საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურად მემარჯვენე ლიბერტარიანული იდეების პოპულარიზაციისათვის იღვწის ყველა პოლიტიკურ პარტიასთან.³⁰

არასამთავრობო ორგანიზაციები ერიდებიან კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას (პარტიებთან არსებული პოლიტიკური გამოკლებით). მართალია, არასამთავრობოების წარმომადგენელთა უმრავლესობა აღიარებს, რომ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად პოლიტიკურ დოკუმენტებზე მუშაობა მიღებული პრაქტიკაა დასავლურ დემოკრატიებში, ქართული არასამთავრობოებისთვის ეს არ არის მისაღები *modus operandi*. ამ მხრივ მათი მთავარი პრობლემა რეპუტაციურია. „სახელის გატეხვის“ პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ორგანიზაციებში, რომლებიც უკვე აღიქმებიან, როგორც ერთი ან მეორე მხარესთან (ოპოზიციასთან თუ ხელისუფლებასთან) დაკავშირებულნი. საია-ს წარმომადგენელმა, მაგალითად, თქვა, რომ ხშირად მათ ბრალს დებენ, რომ რესპუბლიკური

²⁷ ინტერვიუ ქეთევან ჩაჩავასთან, 7 მარტი.

²⁸ ინტერვიუ დავით ლოსაბერიძესთან

²⁹ ინტერვიუ ნოდარ სარჯველაძესთან (ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტი და ფოკუს-ჯგუფი ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასთან

³⁰ ინტერვიუ პაატა შეშელიძესთან. 1 მარტი.

პარტიის გავლენის ქვეში არიან,³¹ რაც პოტენციურად მათ სანდოობაზე ცუდად მოქმედებს. nGni, მეორეს მხრივ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის/მთავრობის მომხრედ აღიქმება.

რესპონდენტები ამბობენ, რომ ასეთი პრობლემების ასარიდებლად ისინი ზოგჯერ პარტიებთან ინდივიდუალური მკვლევარების (ინდივიდუალური კონტრაქტებით) როლში მუშაობენ ან მათ არაფორმალურად ეხმარებიან. კიდევ ერთი სტრატეგიაა ყველა პარტიის დახმარება კონკრეტულ საკითხებში – საარჩევნო კანონმდებლობაში, საპარლამენტო გადაწყვეტილების მიღებებში, განათლების საკითხებზე და ა.შ.³² ნათელია, რომ ასეთი კოოპერაცია პარტიებსა და არასამთავრობოებს შორის ძლიერი ინსტიტუციონალური სტრუქტურების შექმნას ხელს არ უწყობს.

პოლიტიკის წინადადებების შემუშავების შესაძლებლობების განვითარება

პოლიტიკის წინადადებების შემუშავების შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკურ პარტიებში

მართალია, პოლიტიკის წინადადებების შემუშავების შესაძლებლობების განვითარების ინტერესი და მათი დახვეწილობის დონე სხვადასხვა პარტიებში განსხვავდება, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საერთო მახასიათებელი. პირველ რიგში, გამოქვეყნებული პოლიტიკური (policy) წინადადებების უმრავლესობა მხოლოდ წინასაარჩევნოდ ქვეყნდება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი პარტია – მაგალითად, ქდმ და ახალი მემარჯვენეები პოლიტიკურ დოკუმენტებზე არჩვენებს შორისაც მუშაობენ, ასეთი პრაქტიკა იშვიათია. ეს ინტერვიუებშიც გამოჩნდა: ქდმ, ახალი მემარჯვენეები და ქართული ოცნების კოალიციაში შემავალი პარტიები საშემოდგომო არჩევნებისთვის ახლა ქმნიან პოლიტიკის დოკუმენტებს, ან მათი გადახედვის, რედაქტირების თუ გამდიდრების პროცესში იმყოფებიან.

მეორე რიგში, პოლიტიკის დოკუმენტების განვითარების პროცესი ხშირად არაფორმალური, კონკრეტულ მომენტზე მორგებული ხასიათისაა და არ წარმოადგენს უწყვეტ და სისტემატურ პროცესს. და მესამე: პოლიტიკის დოკუმენტების შიდაპარტიული სტრუქტურული მექანიზმები სუსტია ან არ

³¹ ინტერვიუ თამარ ჩუგოშვილთან, 6 მარტი.

³² ინტერვიუები ნინო ლომჯარასთან (ISFED), თამარ ჩუგოშვილთან (საია), ნინა ხატისკაცთან (საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო), პაატა შეშელიძესთან (ახალი ეკონომიკური სკოლა) და სხვებთან.

არსებობს. ზოგიერთი პარტიის, მაგალითად, სოციალ–დემოკრატების გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი ძალიან არაფორმალურია, თუმცა არიან პარტიები, რომლებიც ცდილობენ უფრო სისტემატური მიდგომა შეიმუშაონ პოლიტიკური დოკუმენტების შექმნისა და დამტკიცების პროცესისადმი³³.

მეტიც, ყველა პარტია (გარდა ნაციონალური მოძრაობისა) აღნიშნავს, რომ მათ არ აქვთ სისტემატური, სიღრმისეული პოლიტიკის კვლევებისთვის საჭირო რესურსები. გარე ექსპერტების დაქირავებისთვის საჭირო სახსრების არქონის პირობებში, ისინი შიდა ადამიანურ რესურსებზე არიან დამოკიდებულნი. იმ პირობებში, როცა მოთხოვნა დეტალურ პოლიტიკის დოკუმენტებზე არასაარჩევნო პერიოდში ძალიან დაბალია, ასეთი კვლევები პარტიების პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, სტრუქტურულად, პოლიტიკის დოკუმენტების განვითარება ხშირად არაფორმალური და სპორადულია. პარტიებს არ ყავთ (და არ აქვთ ფინანსური საშუალება დაიქირაონ) კონკრეტულ საკითხებზე მომუშავე დიდი ჯგუფები. პარტიები არ ქირობენ გარე დახმარებას პირველ რიგში იმიტომ, რომ არ გააჩნიათ სპეციფიურ სფეროებში ექსპერტების გრძელვადიანი პერიოდით დაქირავების საშუალება; თუმცა მაშინაც კი, როდესაც ეს თანხები არსებობს, ქდმ–ს წარმომადგენლის თქმით, რთულია კონკრეტულ სფეროებში კომპეტენტური და განსწავლული ადამიანების პოვნა³⁴. ამ პრობლემის მეორე მხარეა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (ვისაც, შესაძლოა, ეს ცოდნა აქვს), ხშირად პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობას ტენდენციური იმიჯის ასარიდებლად გაურბიან.

ამ შეზღუდვების გათვალისწინებით პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობა ხშირად შემდეგნაირად ხდება: კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის გამოცდილების მქონე პარტიის წევრები სხდებიან, კრებენ რამდენიმე სხვა გამოცდილ კოლეგას იმავე პარტიიდან ან ნაცნობ–მეგობრებს გარედან. ეს ადამიანები ქმნიან არაფორმალურ (და უხელფასო) სამუშაო ჯგუფს, რომელიც ატარებს საველე სამუშაოს კონკრეტულ თემაზე და ქმნის პოლიტიკის დოკუმენტს. პარტიები ასევე ხშირად მიუთითებდნენ ადგილობრივი ცოდნის მნიშვნელობაზე. ზოგი პარტიისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოჩენისა და მათი გადაწყვეტის იდეების საფუძველი ხშირად ჩვეულებრივ ხალხთან,

³³ მაგალითად, რესპუბლიკურ პარტიას აქვს შიდაპარტიული „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი დოკუმენტების ინიცირების, განხილვის და დამტკიცების წესი“ [http://republicans.ge/javascript/scrubite editors/xinha/plugins/ExtendedFileManager/files/document/politkursi.pdf](http://republicans.ge/javascript/scrubite%20editors/xinha/plugins/ExtendedFileManager/files/document/politkursi.pdf)

³⁴ ფოკუს–ჯგუფი ქრისტიან–დემოკრატიულ პარტიასთან.

პარტიის ადგილობრივ წარმომადგენლობასთან კონტაქტი და პარტიის ლიდერების რეგიონებში მოგზაურობები ხდება³⁵.

ზოგიერთი პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და აფასებს გარე დახმარებას პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ახალი მემარჯვენეებისა და ქდმ-ს (პოლიტიკის დოკუმენტების მხრივ მომუშავე ორ პოლიტიკურ პარტიას) განცხადებით, NIMD-ის მიერ დაქირავებული ექსპერტების დახმარება უდიდესი მნიშვნელობის იყო. თუმცა ასეთი დახმარება ვერ იქნება უწყვეტი და ვერც მუდმივად გაგრძელდება. შესაბამისად, პარტიები ვერ იქნებიან მდგრადი გრძელვადიან პერიოდში ასეთ დახმარებაზე დამოკიდებულების შემთხვევაში.

დამატებით აღსანიშნავია (და, შესაძლოა, ქართულ პოლიტიკაში ნამდვილი იდეოლოგიური დაყოფის არარსებობის მაჩვენებელია) ფაქტი, რომ პარტიები ყურადღებას ერთსა და იმავე პოლიტიკურ საკითხებს აქცევენ. „სოციალური საკითხები“, როგორცაა უმუშევრობა და ხელმისაწვდომი ჯანდაცვა ყველა პარტიის მიერ დასახელდა, როგორც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ასევე ხშირად აღინიშნებოდა განათლება და სოფლის მეურნეობა. მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ორმა პარტიამ – ნაციონალურმა მოძრაობამ და ლეიბორისტება მოიხსენიეს საგარეო პოლიტიკა და რუსეთთან ურთიერთობა (რა თქმა უნდა, ამ საკითხზე ამ პარტიებს განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ) ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების სიაში³⁶.

ეს პრიორიტეტები სოციალური გამოკითხვების შედეგებს ასახავს, თუმცა ზოგ პარტიას აქვს კონკრეტული „საფირმო“ საკითხები, რომელზეც მათ დეტალური პოლიტიკის დოკუმენტები აქვთ შემუშავებული – მაგალითად, რესპუბლიკურ პარტიას, კონკრეტულად სოფლის მეურნეობაზე ფოკუსირებული პოლიტიკის დოკუმენტის ნაცვლად აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის საკმაოდ რთული და დეტალური გეგმა, რომელიც მოიცავს ასიმეტრიულ, ერთმანეთის გადამფარავ კომპეტენციებს. ისინი ამტიკცებენ, რომ ამ გეგმის სისრულეში მოყვანის შემთხვევაში, გაუმჯობესდება მდგომარეობა სოფლის მეურნეობის სექტორში, თუმცა აღიარებენ, რომ ამ გეგმას ფართო საზოგადოებრივი ინტერესის ფოკუსში მოხვედრა ნაკლებსავარაუდოა. შესაძლოა, სწორედ იმის გამო, რომ საზოგადოება „არ არის დაინტერესებული“ დეტალებით,³⁷ წინასაარჩევნო პერიოდში ისინი უფრო ზოგადი, ფართო იდეების გაჟღერებას ამჯობინებენ.

³⁵ ქრისტიან-დემოკრატებმა და ახალმა მემარჯვენეებმა აღნიშნეს, რომ მათ ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოადგათ.

³⁶ ინტერვიუები ირაკლი ქავთარაძესთან და რამაზ სამინიაშვილთან.

³⁷ ინტერვიუ დავით უსუფაშვილთან

პატარა, მემარცხენე-ცენტრისტული სოციალ-დემოკრატებიც მუშაობენ გარკვეული პოლიტიკურ-პროგრამული საკითხების შემუშავებაზე. მათ აქვთ მემარცხენე პოლიტიკური (policy) იდეები – მაგალითაც, პროგრესული დაბეგვრა და თავდაცვითი ხარჯების დრამატული შემცირება.³⁸ ეს მცირე და შედარებით უცნობი პარტია, რომელსაც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დამკვიდრებამდე დიდი გზა აქვს გასავლელი, გარე ექსპერტებთან ერთად მუშაობს რიგ საკითხებზე; ისინი ასევე თანამშრომლობენ სხვა ევროპულ მემარცხენე და სოციალისტურ პარტიებთან³⁹.

ყველაფერთან ერთად, პარტიებს უჭირთ კონფრონტაციული რიტორიკის არიდება, საკუთარ პოლიტიკურ დოკუმენტებშიც კი. ამისი ერთი მაგალითია პოლიტიკის დოკუმენტებზე საკმაოდ სერიოზულად მომუშავე, ზოგადად უფრო თავშეკავებულ პარტიად მიჩნეული რესპუბლიკელები: მათი პოლიტიკის დოკუმენტის „ვარდების რევოლუციიდან ნეობოლშევიზმამდე – პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური არჩევანი“⁴⁰ ტექსტი შეიცავს ნეგატიურ რიტორიკას ხელისუფლების შეცდომების შესახებ.

ქდმ-ს, ერთადერთ ოპოზიციურ პარტიას ხელშესახები საპარლამენტო წარმომადგენლობით, პოლიტიკის დოკუმენტების განვითარების შედარებით ფორმალიზებული მექანიზმები აქვს. მათ, როგორც წესი, ყავთ ერთი ან ორი დეპუტატი, რომელიც პარტიის სხვა წევრების ან არაფორმალური კონსულტანტების დახმარებით სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებზე მუშაობენ. ისინი, ახალი მემარჯვენეები, და, შედარებით ნაკლებად, თავისუფალი დემოკრატები ის პარტიებია, რომელთაც პოლიტიკური კურსის განვითარების მნიშვნელობა ესმით და ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი აქვთ ნამუშევარი. ქრისტიან-დემოკრატებიც კი, ვინც სახელმწიფოსგან ნაციონალური მოძრაობის შემდეგ ყველაზე მეტ დაფინანსებას იღებს, განიცდიან ფინანსური რესურსების დანაკლისის მათი პოლიტიკური კვლევების გაფართოებისთვის. ამ შემთხვევაში საქმეში შეიძლება ჩართულიყო მათთან კავშირში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაცია, ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტი, თუმცა ეს ჯერ ასე არ მომხდარა. პირიქით, პარტიულ დოკუმენტებზე მუშაობის ზედამხედველობა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ დოკუმენტების დაწერა პარტიის დეპუტატებს უწევთ, რომლებსაც გაცილებით მეტი ყოველდღიური საქმე აქვთ⁴¹.

³⁸ ინტერვიუ გია ჟორჟოლიანთან და გელა ბანძელაძესთან

³⁹ იქვე.

⁴⁰ „რესპუბლიკური არჩევანი“ (2006)

http://republicans.ge/javascript/scribite_editors/xinha/plugins/ExtendedFileManager/files/document/Respublikuri_archevani_2006_14_tebervali.pdf ტექსტის ნახევარი შეიცავს არსებული ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტი სააკაშვილის კრიტიკას, ხოლო ამ პრობლემების გადაწყვეტა მის მეორე ნახევარშია.

⁴¹ ფოკუს ჯგუფი ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასთან.

პარტიების უმრავლესობა იყენებს NDI-ს და IRI-ს მიერ ჩატარებული პოლიტიკური კვლევების მონაცემებს, რადგან საკუთარი რაოდენობრივი კვლევების ჩატარების რესურსები არ აქვთ (გამონაკლისი აქ ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა, რომელთაც შეუკვეთიათ რაოდენობრივი კვლევები ამერიკულ კვლევითი კომპანიებისათვის).⁴² რაოდენობრივი კვლევების ნაცვლად პარტიები ხარისხობრივ მეთოდებს – ფოკუს ჯგუფებს, ინტერვიუებს და სხვადასხვა კვლევებს მიმართავენ. პოლიტიკის დოკუმენტების დამუშავების ადრეულ სტადიაზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მწირია. უფრო მიღებულია შედარებით გვიანდელ სტადიაზე ადვოკატირების პრაქტიკა, როცა ზოგიერთი კანონპროექტი უკვე მზადაა პარლამენტში შესატანად. ამის ერთ-ერთი მაგალითია კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ – აქ ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ ცვლილებების პაკეტი სამოქალაქო საზოგადოებრივ ჯგუფებთან (საია, საერთაშორისო გამჭვირვალობა– საქართველო, სამართლიანი არჩევნები) კონსულტაციის მერე გაიტანა (ქრისტიან დემოკრატებმა კანონპროექტი არასამთავრობოებთან კონსულტაციის შემდეგ უკან გამოიტანეს).⁴³ ეს ერთი მაგალითია არასამთავრობოების წარმატებული ლობირებისა პარლამენტში: მათი ძალისხმევით, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ არასამთავრობოების მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალა.

არასამთავრობო ორგანიზაციები

პოლიტიკური პარტიების მსგავსად, არასამთავრობოებიც ფინანსური და ადამიანური რესურსების სიმწირეს განიცდიან, შესაბამისად ისინი, ვინც პოლიტიკის (policy) დოკუმენტებზე მუშაობენ, ეფექტიანობის გაზრდისთვის ვიწრო პროფილს იღებენ. პოლიტიკურ ხედვებზე ორიენტირებული არასამთავრობოების უმრავლესობას სახელისუფლებო სააგენტოებთან თანამშრომლობის გამოცდილებაც აქვს. GFSIS-ს, მაგალითად, ხშირად აყავს მკვლევრებად დაბალი ან საშუალო დონის მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი სამინისტროების ან ხელისუფლების სხვა შტოს წარმომადგენლები. ისინი,

⁴² მაგალითად, გრინბერგ ქუინლან როზნერის 2008 წლის კვლევა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მიერ იყო შეკვეთილი.

<http://www.greenbergresearch.com/index.php?ID=2193>. ამ ანგარიშში არ არის ასახული ქართული ოცნების მიერ შეკვეთილი კვლევები, რადგან ეს ფაქტი საჯარო კვლევის სავსე ნაწილის დასრულების შემდეგ გახდა.

